

## 12 დეკემბრის მოლოდინში

თბილისის “ლოკომოტივის” სტადიონი. 28 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) – “ტოტენჰემი ჰოტსპური” (ლონდონი), 1:1 (0:1)

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ჭელიძე, ებრალიძე, (წერეთელი), მ. მაჩაიძე, ასათიანი, ყიფიანი, გ. ნოღია, ლ. ნოღია.

“ტოტენჰემი”: ჯენინგსი, ევანსი, ნოულსი, პრატი, ინგლენდი, ბილი, ნეილორი, ჰერიმენი, ჩივერსი, ჰიტერსი, კოუტსი.

მსაჯი ფოგერერი (ავსტრია).

მატჩის წინ როცა ინგლისელ მწვრთნელებთან და ფეხბურთელებთან გვექონდა საუბარი, გაცვებით და რა თქმა უნდა, წყნითაც ვისმენდით მათ პასუხებს თბილისის “დინამოზე”, “ტოტენჰემი” წმინდა პროფესიული გუნდია, ათასგვარი საერთაშორისო ოფიციალურ თუ არაოფიციალურ შეჯიბრებაში მონაწილეობს, მოვლილი აქვს ცა და ქვეყანა და მისი წარმომადგენლები უფვა-ს თასის უკიდურესად საპასუხისმგებლო მერვედფინალის წინ აცხადებენ – მეტოქეს არ ვიცნობთო. თვით უფროსმა მწვრთნელმა ბ. ნიკოლსონმაც კი საერთო ფრაზებით, მხოლოდ კონტურულად გამოხატა თავისი ნაცნობობა მომავალ მეტოქესთან, თუმცა იგი ადრე ლონდონშიც ჰყავდა ნახული, და ძალზე გაკვირვებული დარჩა თბილისში მზე და თბილი ამინდი რომ დახვდა.

რა არის ეს? მეტოქის შეგნებული დემინფორმაცია მისი შეცდომაში შეყვანის მიზნით, თუ მართლა არ ცოდნა იმისა, რომ თბილისის “დინამო” ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია საბჭოთა კავშირში, რომ მისი საუკეთესო მოთამაშეები ეროვნული ნაკრების წამყვან ბირთვს წარმოადგენენ და ცნობილი არიან საერთაშორისო ფეხბურთში თუნდაც იმით, რომ მსოფლიო ჩემპიონატების სისტემატური მონაწილეები არიან. არც ის იცოდნენ, რომ ამ ზაფხულს თბილისის “დინამომ” ესპანეთში გამართულ სწორედ იმ დიდ საერთაშორისო ტურნირში მოიპოვა გამარჯვება, სადაც ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთმა აღიარებულმა ლიდერმა “დერბი ქაუნთიმ” განიცადა მარცხი? რაღაც არ გვჯერა ეს.

სამაგიეროდ ჩვენ კარგად ვიცნობთ “ტოტენჰემს” ვიცით, რომ იგი მრავალი ტიტულის მფლობელია: იგი ინგლისის ჩემპიონი, თასის მფლობელი, “დუბლიც” გაუკეთებია, მოუპოვებია თასების მფლობელთა თასი, უფვა-ს თასი და ა. შ. გუნდის შემადგენლობა შეშურდება მსოფლიოს რომელიც გნებავთ პროფესიულ კლუბს და თუ იგი ახლა ინგლისის ჩემპიონატში მისთვის შეუფერებელ ადგილზეა, ამან შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს არავინ. იქ გუნდის ადგილი გათამაშების რომელიმე ეტაპზე ყოველთვის არ გამოხატავს ძალთა ნამდვილ შეფარდებასა და ხშირად დამოკიდებულია კონკრეტულად შექმნილ კონიუნქტურაზე, ცვალებად ვითარებაზე. ამას გარდა, ისიც ვიცოდით, რომ ლონდონელები “შინაურ” წარუმატებლობათა კომპენსაციას აუცილებლად შეეცდებიან ისეთ სერიოზულ ტურნირში, როგორცაა უფვა-ს თასი. ნათქვამის საილუსტრაციოა ის ფაქტი, რომ, ტოტენჰემმა” მერვედფინალამდე 4 მატჩში 14 ბურთი გაუტანა შვეიცარიისა და შოტლანდიის ძლიერ გუნდებს – “გრანსხოჰერესს” და “აბერდინს”.

სწორედ ინგლისური ფეხბურთის კარგი ცოდნით იყო გამოწვეული ის უდიდესი ინტერესი, რომელიც გამოიჩინეს ჩვენმა გულშემატკივრებმა განვლილი მატჩის მიმართ. მართალია თამაშის შედეგით უკმაყოფილონი დავრჩით, ვინაიდან “ტოტენჰემი” აშკარად გადაურჩა დამარცხებას, შეიძლება, საკმაოდ სოლიდური ანგარიშითაც, მაგრამ, თვით მატჩი, მისი სპორტული, საშემსრულებლო დონე, სანახაობითი მხარე და უკიდურესად მაღალი დაძაბულობა, ყოველმხრივ შეეფარდება უეფა-ს მერვედფინალის მაღალ რანგს. ყოველ შემთხვევაში, მართალი იყო ბ. ნიკოლსონი, რომელმაც თამაშის მერე განაცხადა – დიდი ხანია ჩემს გუნდს ასეთი განსაცდელი არ გადაუტანიაო.

მატჩი დაიწყო ძოძუაშვილის გარღვევით და სტუმრების კართან შექმნილი კრიტიკული მომენტი. რამდენიმე წუთის განმავლობაში დინამოელები არ მოსცილებიან მოწინააღმდეგის საჭარიმო მოედანს, შეტევა განსაკუთრებით კარგად ვითარდებოდა ფლანგებიდან, სადაც ყიფიანი და ლ. ნოდია დრიბლინგით უგდებდნენ ბრძოლას ევანსს და ნოულსს, მაგრამ დრიბლინგს დრო სჭირდება, ეს დრო კი ინგლისელებს სავსებით ყოფნიდათ კარის წინ ცენტრალური ზონის გადასაკვეთად, სადაც 4-5 მოთამაშე სისტემატურად ჩამოდიოდა ხიფათის სალიკვიდაციოდ, დაცვის ცენტრალურ ზონაში ასეთი კონცენტრაციისას ძნელია გზის მოძებნა კარისკენ, მაგრამ არც მცველთათვისაა ბრძოლა იოლი, ვინაიდან მცირე შეცდომას ან შეუთანხმებლობას შეუძლია გამოიწვიოს სიძნელებები მეკარისათვის, ურთიერთდაზღვევის პრინციპების დარღვევა. ლონდონელები კი დაცვაში თამაშის ნამდვილი ოსტატები აღმოჩნდნენ არც ერთი შეცდომა, არავითარი ლათესუსი. ყველამ ზედმინევით იცოდა თავისი საქმე, ორი მცველი ერთად არ ამბტარა ბურთზე, არ შეუშლია ხელი ერთმანეთისთვის, არ დაურღვევია სინქრონულობა.

აქ, ჩვენი აზრით დინამოელებმა არასწორი ტაქტიკური გზა აირჩიეს და ტრატარეებზე გადავიდნენ, რომელიც მეტოქისთვის აღმოჩნდა ხელსაყრელი. თითქმის ყოველი ფლანგური გარღვევა თუ შუა მინდვრიდან წამოწყებული კომბინაცია მთავრდებოდა კარის წინ დაკიდებული მაღალი ბურთით, ამ სიტუაციაში კი ინგლისელები თავს ისე გრძნობდნენ, როგორც თევზი წყალში. ყოველ მოწოდებას ისინი დამატურებლად იგერიებდნენ და არა სხვათაშორისად, არამედ ზუსტად, პარტნიორის მიმართულებით. შემდეგ იწყებოდა ორგანიზებული, კარგად მოფიქრებული კონტრშეტევა, რომელიც შორეული გადაცემების მეოხებით სწრაფად აღწევდა თბილისელთა საჭარიმო მოედანს.

როცა ამგვარი საშუალებებით არ მოხერხდა მოპირდაპირე დაცვის დაძლევა, თბილისელებმა შორი მანძილიდან სცადეს კარის აღება. ზოგიერი ასეთი მანევრი ნაჩქარევი და მოუმზადებელი აღმოჩნდა, მაგრამ ყიფიანის ხურცილაფას, მაჩაიძის, ასათიანის დარტყმები ისეთი სახიფათო იყო, რომ “ტოტენჰემი” გოლსა გადაურჩა მხოლოდ მეკარე ჯენინგსის უმაღლესი ოსტატობის წყალობით. მხოლოდ – ვამბობთ იმიტომ, რომ ჯენინსიგმა ამ მატჩში ბრწყინვალე თამაში აჩვენა, რამოდენიმე წარმოუდგენლად ძნელი ბურთი აიღო და ინგლისელები თბილისში აღებულ თავიანთ 1 ქულას უპირველეს ყოვლისა სწორედ მას უნდა უმადლოდნენ, თუმცა ორჯერ ჯენინსიგს კი უძლური იყო მოემოქმედა რამე, როცა მის წინ 28-ე წუთზე ყიფიანი და მე-40 წუთზე ასათიანი აღმოჩნდნენ ერთი-ერთზე. სტუმრებს ვერ უშველიდა ვერაფერი, ყიფიანს და ასათიანს რომ ზუსტად დაერტყათ კარში, მაგრამ

ერთმაც და მეორემაც იჩქარეს და ფაქტიურად 2 ნაღდი გოლი აჩუქეს ლონდონელებს, საჩუქარი მართლაც რომ ძვირფასი იყო.

ჯენინგსის გარდა “ტოტენჰემს” ჰყავდა კიდევ ერთი მოთამაშე, რომელიც მკვეთრად გამოირჩეოდა სხვებს შორის. ეს იყო კოუსტი. #11 მის მაისურზე სულაც არ გამოხატავდა ამ პირველხარისხოვანი ფეხბურთელის ფუნქციებს, კოუსტს ნახავდით ყველგან, დაცვაშიც, შეტევაშიც, შუა მინდორშიც, ფლანგზეც. – სადაც გნებავთ და ყველგან უნივერსალურად აკეთებდა თავის საქმეს. გოლი რომელიც მან 26-ე წუთზე გაიტანა, მაღალი ინდივიდუალური ოსტატობის ნაყოფი იყო. ჩივერსის მიერ მოწოდებული ბურთი კოუსტმა შორი მანძილიდან ზუსტი და უძლიერესი დარტყმით გაგზავნა ბადეში და გოგამ, რომელმაც მანამდეც და მერეც საუკეთესოდ ითამაშა, ვერ მოასწრო მდგომარეობის ხსნა – 1:0.

ტაიმი წავაგეთ. შეიძლება ეს ასე არც მომხდარიყო, დინამოელებს რომ შეტევის დასასრულს მეტი სიზუსტე გამოეჩინათ, მაგრამ “ტოტენჰემს” თავისი მაინც უნდა მიეზღოს. ინგლისელები რაციონალურად, გეგმიანად თამაშობდნენ, მათი ათლეტიზმი არ ცდება ფეხბურთის წესებს, არც ერთი მოთამაშე წამითაც არ გამოეთიშება საერთო გეგმას, არ დაუშვებს რაიმე ზედმეტობას, არ წასძლევს სული ტრიუკებისთვის. გადაცემათა სიზუსტე, პარტიორის მხარის გრძნობა მათ უნაკლო აქვთ.

მაგრამ “ტოტენჰემი” ასეც იყო შესვენებამდე, მხოლოდ პირველ ტაიმში, სანამ თბილისელები მას აძლევდნენ სასურველ ტემპში, მის სტილში თამაშის საშუალებას, სანამ კომბინაციურ ბრძოლაში ემოციები და ინდივიდუალური ოსტატობა ასე თუ ისე ლიმიტის ჩარჩოებში იყო მოქცეული. დაიწყო მეორე ტაიმი და თბილისის “დინამო” ათამაშდა ისე როგორც იგი გვინახავს მის საუკეთესო მატჩებში, მაშინ როცა მთელი გუნდი მობილიზებულია, გამსჭვალულია ერთი სულისკვეთებით და მთელი მისი მექანიზმი შეტევას ემსახურება. მცველებმა საიმედოდ ჩაკეტეს ინგლისელთა თავდასხმის ტანდემი – ჩივერსი და პიტერსი, რის შედეგად ხურცილავა სულ უფრო ხშირად გადიოდა საიერიშო პოზიციებში, შუა მინდორში კოუსტს აღარ ჰქონდა თავისუფალი მოქმედების საშუალება, ვინაიდან იქ სხვა წამყვან, ცენტრალური ფიგურა გამოჩნდა – მაჩაიძე. სწორედ მისი და ასათიანის გარშემო შეიკრა შემტევი ბირთვი, რომელიც წერეთლის მინდორზე გამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო აგრესიული გახდა. დინამოელები უტევდნენ მძლავრად, მთელი ძალებით, შეუსვენებლივ. ჯერ მაჩაიძის წარმოუდგენლად ძნელი ბურთი აიღო ჯენონგსმა, მერე ასათიანისაგან მიღებული ბურთით გავიდა გ. ნოდია კარის წინ ისე, რომ ინგლისელთა მეკარე თავის ადგილზე აღარ იყო და გოლის გატანას თითქოს აღარათფერი აკლდა და ბურთი მაინც აცდა მიზანს. ამას მოჰყვა ხურცილაგას, მაჩაიძის, ასათიანის დარტყმები, ყიფიანის გარღვევა..., ვინ მოთვლის, 25 წუთის განმავლობაში სტუმრების კარი რამდენჯერმე გადაურჩა იმ მომენტებს, რომლებსაც ესოდენ საჭირო და დამსახურებული გამარჯვება უნდა მოეთანა ჩვენი გუნდისთვის. თუ არსებობს ფეხბურთში სპორტული ბედი, იგი ჯენინგს და მის მეგობრებს სწყალობდა ამ დღეს. რამდენჯერ წამოვსულვართ სტადიონიდან განზილებული, და გულნატკენი იმის გამო, რომ დინამოელებს ვერ გამოუყენებიათ თავიანთი აბსოლუტური უპირატესობა და ამჯერადაც ასე მოხდა. მხოლოდ ერთხელ, 71-ე წუთზე, შეირხა “ტოტენჰემის” კარის ბადე, როცა ასათიანმა და

ყიფიანმა კარგად გაითამაშეს კომბინაცია და იგი ასათიანმა დაამთავრა ზუსტი დარტყმით, დანარჩენ შემთხვევაში ლონდონელები სულ იმ ბენჯზე ეკიდნენ, რომელიც არ იქნა და არ განყდა არაფრით.

მატჩი ძალზედ საინტერესო, შინაარსიანი და დაძაბული იყო. მის მნახველთაგან ეჭვი არ შეეპარება არავის, რომ თბილისელებს არა მარტო უნდა მოეგოთ იგი, არამედ გაემარჯვათ საკმაო მარაგით. 1 დეკემბრის განმეორებითი შეხვედრისთვის ლონდონში თბილისის “დინამო” ღირსი იყო ამისა.

წინა უკიდურესად ძნელი, საპასუხისმგებლო მატჩი. ამოცანა რა თქმა უნდა, რთულზე რთულია. “ტოტენჰემ ჰოტსპური” ყოველ ღონეს იხმარს, რათა იბრძოლოს მეოთხედ ფინალში გასასვლელად, მაგრამ თბილისის “დინამოს” ძალა და პოტენციური შესაძლებლობანი კარგად ვიციოთ, გვჯერა, რომ ჩვენი ფეხბურთელები განვლილი მატჩის მაგალითზე კიდევ უფრო მობილიზებულნი იბრძოლებენ, არ დათმობენ იმას, რაც უეფას თასის გათამაშებაში დღემდე აქვთ მოპოვებული, ჰყავთ სტაბილური შემადგენლობა. ჩვენ გვინდა, რომ აღარაფერ თქვას თბილისის “დინამოს” არ ვიცნობთ, მის შესახებ მხოლოდ გაკვრით გვსმენიაო.

ბ. ქორქია

ლელი 1. XII. 1973 წელი.